სადოქტორო პროგრამის დასახელება - თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერება / Theoretical and Applied Linguistics

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
ა) პროგრამის მიზანი: სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს სრულფასოვანი სპეციალისტი თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერების სფეროში. ამისათვის დოქტორანტს პროგრამის ფარგლებში უნდა მიეცეს საფუძვლანი ცოდნა და კვლევა-ძიების გამოცდილება ზოგადი და შედარებითი ლინგვისტიკის სფეროში. პროგრამა გულისხმობს საფუძვლიან მომზადებას ენათმეცნიერების თეორიულ და შედარებით ენათმეცნიერებაში.
პროგრამის ფარგლებში ივარაუდება კვლევითი სამუშაოს ჩატარება და სადოქტორო ნაშრომების მომზადება თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერების შემდეგ სფეროებში:
ენათმეცნიერების თეორია:
ლინგვისტური სემიოტიკა
ენა და კულტურა
სოციოლინგვისტიკა
ფსიქოლინგვისტიკა
ფონოლოგიის თეორია
სინტაქსის თეორია
სემანტიკის თეორია
ექსპერიმენტული ფონეტიკა

შედარებითი ენათმეცნიერება:
ენათა ტიპოლოგია და უნივერსალიები ფონოლოგიის დონეზე
ენათა ტიპოლოგია და უნივერსალიები მორფოლოგიის დონეზე
ენათა ტიპოლოგია და უნივერსალიები სინტაქსის დონეზე
ენათა ტიპოლოგია და უნივერსალიები სემანტიკის დონეზე
დიაქრონიული ენათმეცნიერება
ენათა კონტაქტები და არეალური ტიპოლოგია

ბ) პროგრამის შედეგი: სადოქტორო კურსის გავლის შედეგად დოქტორანტები შეიძენენ თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერების სფეროში სპეციალისტების სტატუსს. მათ ექნებათ თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერების სფეროში დამოუკიდებელი კვლევის უნარი, ექნებათ ენათმეცნიერების თანამედროვე პრობლემატიკისა და მეთოდოლოგიის საფუძვლიანი ცოდნა, რომელიც მათ მისცემს შესაძლებლობას მოახდინიონ შესაბამის სფეროებში ადეკვატური ორიენტაცია, შესძლონ საკითხების ორიგინალური დასმა და მოსაზრებათა ორიგინალური განვითარება და კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენება. მათ შესაძლებლობა ექნებათ წაიყვანონ სასწავლო კურსები უმაღლეს სასწავლებლებში თეორიუ.ლ და შედარებით ენათმეცნიერების დარგში.

1. **ცოდნა და გაცნობიერება**
1.1. თანამედროვე ენათმეცნიერული თეორიებისა და მეთოდოლოგიის დაუფლება.
1.1.1. ფონოლოგიის დონეზე
1.1.2. მორფოსინტაქსის დონეზე
1.1.3. სემანტიკის დონეზე
1.2. თანამედროვე შედარებითი ენათმეცნიერების თეორიისა და მეთოდოლოგიის დაუფლება

2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები

2.1. სამეცნიერო ნაშრომების წერის უნარი
2.2. სამეცნიერო მოხსენებების წარდგენის უნარი
2.3. სალექციო კურსების მომზადებისა და წაკითხვის უნარი

3. ზოგადი/ტრანსფერული უნარები
3.1. სამეცნიერო ნაშრომისათვის საჭირო მასალის მოპოვების უნარი.
3.2. ემპირიული მასალის ანალიზისა და კლასიფიკაციის უნარი
3.3. მეცნიერული არგუმენტირების უნარი
3.4. დისკუსიებში მონაწილეობის უნარი

გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები: სადოქტორო პროგრამის წარმატებით გავლის შედეგად კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ლინგვისტიკის სფეროში კვლევა-ძიება და სწავლება უმაღლეს სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში. შეეძლებათ მუშაობა გამოყენებით სფეროებშიც, მაგალითად, როგორც ლოგოპედებს, ლინგვისტური ექსპერტიზის, ფსიქოლინგვისტიკისა და სოციოლინგვისტიკის სპეციალისტებს შესაბამის კვლევით და პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებულ დაწესებულებებში.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:
სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა სამაგისტრო კურსის დასრულება ფილოლოგიის (ქართველური, კავკასიური, აღმოსავლური, დასავლეთ ევროპის) ან სხვა რომელიმე ჰუმანიტარული (ფილოსოფია, ისტორია) ან სოციალური (სიციოლოგია, ფსიქოლოგია) მიმართულების სფეროში.

სასწავლო და კვლევითი კომპონენტი:
დოქტორანტურა დასრულებულად ჩაითვლება, თუ დოქტორანტი აითვისებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა კრედიტს და წარადგენს დასაცავად სადოქტორო დისერტაციას. სადი-სერტაციო ნაშრომი, რომელზეც დოქტორანტი მუშაობს სწავლების პერიოდში უნდა იყოს მო-ნოგრაფიული ხასიათის დასრულებული სამეცნიერო გამოკვლევა, რომელიც უნდა შეიცავდეს მეც-ნიერულ სიახლეს და წარმოადგენდეს წინგადადგმულ ნაბიჯს შესასწავლი პრობლემის კვლევაში.
სასწავლო გეგმა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან.
დოქტორანტმა სასწავლო კომპონენტის ფარგლებში უნდა გაიროს 60 კრედიტის ოდენობის სასწვლო კურსები.

- მეცნიერების მენეჯმენტი (სავალდებულო) -5 კრედიტი
- სწავლების თანამედროვე მეთოდები (სავალდებულო) -5 კრედიტი
- პროფესორის ასისტენტობა (სავალდებულო) - 5-15 კრედიტი
- დოქტორანტის I კოლოქვიუმი (სავალდებულო) – 5 კრედიტი
- დოქტორანტის II კოლოქვიუმი (სავალდებულო) - 5 კრედიტი

დანარჩენი 25-30 კრედიტის დაგროვება დოქტორანტს შეუძლია სხვა საუნივერსიტეტო კურსების გავლის მეშვეობით.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სადოქტორო ნაშრომი შესრულდება თეორიული და შედარებითი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ინსტიტუტის ბაზაზე. ინსტიტუტის შემადგენლობაში შედის გიორგი ახვლედიანის სახელობის კაბინეტი საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკით, ინსტიტუტს აქვს 2 კომპიუტერი და ერთი პრინტერი და არსებობს ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა. დოქტორანტი უზრუნველყოფილი იქნება საჭირო სამეცნიერო ლიტერატურით და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობით. ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია საკმაო ბაზას შეადგენს სხვადასხვა სახის ექსპერიმენტების ჩასატარებლად (მეტყველების ანალიზი, პერცეფცია, მათი ფონეტიკური და ფსიქოლინგვისტური ასპექტები). საჭიროების შემთხვევაში შესაძლებლად გვესახება დოქტორანტის მიზნობრივი მივლინება ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის შედარებითი

ენათმეცნიერების, სლავისტიკისა და ფონეტიკის ინსტიტუტში, რომელთანაც ინსტიტუტს ხანგრძლივი თანამშრომლობა აკავშირებს.

რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი: პროგრამაში მონაწილეობს 7 პროფესორი; შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია 14-21 დოქტორანტის მიღება.